2-7469/24
27-05-2024

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის
დასკვნა

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონზე საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების თაობაზე (N07-1/32; 18.05.2024)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2024 წლის 27 მაისის კომიტეტის სხდომაზე განიხილა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 14 მაისის N4156-XIVმს-Xმპ კანონზე საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები (N07-1/32; 18.05.2024).

I. მოტივირებული შენიშვნების ძირითადი არსი

2024 წლის 14 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომლითაც წესრიგდება შემდეგი ძირითადი საკითხები: უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისა და უცხოური ძალის ცნებების განმარტება; სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია და სხვა სათანადო პროცედურული საკითხები; უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის მიერ ყოველწლიური საფინანსო დეკლარაციის წარდგენა; აღნიშნული კანონით განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნათა შეუსრულებლობისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება.

2024 წლის 18 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა საქართველოს პარლამენტს. საქართველოს პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულია, რომ აღნიშნულმა კანონმა იმოქმედოს მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში.

II. კომიტეტის შეფასება

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით აწესრიგებს სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციასა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, რაც, შესაბამისი აღმატებული საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას უზრუნველყოფს. ამასთანავე, ეს კანონი არ ზღუდავს მის საფუძველზე უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის საქმიანობას.

აღნიშნული კანონი ეფუძნება და ესადაგება ისეთ ქვეყნებში მოქმედ კანონმდებლობასა და პრაქტიკას, როგორებიც არის: ამერიკის შეერთებული შტატები[1], ისრაელი[2], აგრეთვე ევროკავშირის სათანადო ორგანოების მიერ განსახილველ დირექტივის პროექტს[3], საფრანგეთის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს[4]. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი შეესაბამება ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დადგენილ პრინციპებს.[5]

საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი „მოტივირებული შენიშვნების" დოკუმენტი მინიმალურ დასაბუთებასაც კი მოკლებულია, სადაც პრეზიდენტი ყოველგვარი არგუმენტირებული მსჯელობის გარეშე უთითებს, რომ კანონმა ერთ დღეზე მეტხანს არ უნდა იმოქმედოს და იგი ამოქმედების მომდევნო დღესვე უნდა გაუქმდეს.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი უარყოფითად აფასებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ „მოტივირებულ შენიშვნებს" და მიზანშეწონილად მიიჩნევს კანონის პირვანდელი რედაქციით მიღებას.

III. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს 2024 წლის 14 მაისის N4156-XIVმს-Xმპ კანონზე საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს (N07-1/32; 18.05.2024) და მიზანშეწონილად მიიჩნია კანონის პირვანდელი რედაქციით მიღება.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი

---

[1] იხ. https://www.justice.gov/nsd-fara/fara-index-and-act
[2] იხ. https://main.knesset.gov.il/activity/legislation/laws/pages/lawprimary.aspx?t=lawlaws&st=lawlaws&lawitemid=2000650
[3] იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=COM:2023:637:FIN
[4] იხ. https://www.assemblee-nationale.fr/dyn/16/dossiers/alt/prevenir_ingerences_etrangeres_France
[5] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ეკოდიფენსი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ" (Ecodefence and Others v. Russia), განაცხადები N9988/13 და სხვა; იხ. აგრეთვე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2020 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე C-78/18 უნგრეთთან მიმართებით.